



159-15-11-2-202001091755



N 15-11/159

09/01/2020

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 19 სექტემბერს მომართვის საფუძველზე დაიწყო მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში მოპოვებული მასალების შესწავლა.

სისხლის სამართლის საქმის სრული მასალების¹ შესწავლის შედეგად² გამოიკვეთა, რომ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტულ პირთა უფლებების დაცვის, ისე - კონვენციური წარმოშობის დანაშაულებთან დაკავშირებით მართებული სამართლებრივი პრაქტიკის განვითარების კუთხით.

განმცხადებლებისთვის წარდგენილი ბრალდება უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების ლეგალიზაციას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული, რომელიც „ფულის გათეთრების“ სახელითაცაა ცნობილი, მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს, შიდა კანონმდებლობაში საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაციის შედეგად აისახა. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობისა და მიზნის სწორი განმარტება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რათა ქართული სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა სრულად შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ ტრანსნაციონალურ ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის დეკლარირებულ მიზანს.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

¹ როგორც ბრალდების მხარის, ისე - დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს დაერთო, სულ 33 ტომის ოდენობით.

² „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოძიების მასალებს გაეცნოს მისი დამთავრების შემდგომ. შესაბამისად, აღნიშნული მასალები მოპოვებულ იქნა მამუკა ხაზარაძის ადვოკატის მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი“.³

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, [...] სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.⁵

ვსარგებლობ რა მითითებული ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგენთ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, რომ იგი დაეხმარება სასამართლოს წინამდებარე საქმის სამართლიან შეფასებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

ფაქტობრივი გარემოებები

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი დაედოთ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში.⁶ ბრალდების შესახებ დადგენილებისა და საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის აპრილში მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ სთხოვეს მათ მეგობარს, ა. წ. ს, სს „თიბისი ბანკიდან“ სესხის გამოტანა. 2008 წლის 21 აპრილსა და 7 მაისს ა. წ. მ, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული კომპანიების - შპს „სამგორი თრეიდი“ და შპს „სამგორი M“-ის მეშვეობით, სს „თიბისი ბანკიდან“ მიიღო სესხი ჯამში 16 664 000 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები, ჩარიცხვის დღესვე, დაკონვერტირდა ლარში და გადაირიცხა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ანგარიშებზე, რაც გაფორმდა შესაბამისი სესხის ხელშეკრულებით.

ა. წ. მ ასგან მიღებული თანხა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ გადარიცხეს სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშებზე, რომელთა მიმართაც ჰქონდათ სასესხო დავალიანებები დასაფარი.

აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარემ წარმოადგინა აღნიშნული სასესხო ვალდებულებების დამადასტურებელი, ნოტარიულად დამოწმებული, 2007 წლით დათარიღებული

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 1, პუნქ. 1.

⁴ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 55.

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

ხელშეკრულებები, აგრეთვე გამოკითხა აღნიშნული ფიზიკური პირები, რომელთაც ხელშეკრულების არსებობა დაადასტურეს.⁷

2008 წლის 21 ოქტომბერსა და 7 ნოემბერს შპს „სამგორი ტრეიდსა“ და შპს „სამგორი M“-ს კრედიტის გადახდის ვადა 1 წლით გაუხანგრძლივდათ, ხოლო 2008 წლის 31 დეკემბერს აღნიშნულ სესხებს მიენიჭა უიმედო კლასიფიკაცია და გადავიდა ბანკის გარე საბალანსო ანგარიშზე. მოგვიანებით, დატვირთული ქონების რეალიზაციის ნაცვლად, ბანკმა თანდათან გაათავისუფლა იპოთეკისგან აღნიშნული შპს-ების უძრავი ქონებები, ხოლო 2012 წლის აგვისტოში სრულად გაათავისუფლა ვალდებულებებისგან და ჩაანაცვლა უცხოური კომპანიით, რომელმაც ვალის მხოლოდ მინიმალური ოდენობა დაფარა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბანკის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა სასამართლოში დაკითხვისას განმარტეს, რომ ვალების ჩამოწერის მსგავსი პრაქტიკა, 2008 წლის ომის შემდეგ, განხორციელდა ყველა მსხვილი უიმედო სესხის მიმართ, რაც ნაკარნახევი იყო როგორც ომის შემდგომი ეკონომიკის მძიმე მდგომარეობით, ისე - საერთაშორისო ინვესტორთა მოთხოვნებით.⁸

დამატებით, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის ნოემბერში შედგენილი სს „თიბისი ბანკის“ შემოწმების აქტი, რომელშიც მითითებულია, რომ 2008 წელს, სს „თიბისი ბანკმა“, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, ა _____ წ. _____ ს კომპანიების დაკრედიტებით, დაარღვიეს ინტერესთა კონფლიქტების მარეგულირებელი ინსაიდერული კანონმდებლობა. აღნიშნული აქტის საფუძველზე, ეროვნულმა ბანკმა გამოსცა შესაბამისი განკარგულებები და დააჯარიმა სს „თიბისი ბანკი“, ასევე მიიღო დისციპლინური ღონისძიებები მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ.⁹

აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე, ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რადგან მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ საბანკო რეგულაციების დარღვევით, ა _____ წ. _____ ს მეშვეობით, მიიღეს „თიბისი ბანკისგან“ ფულადი სარგებელი და იგი 6 სხვადასხვა უცხოურ ანგარიშზე გადარიცხეს.

რაკი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, იგივე „ფულის გათეთრება“ საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის შედეგი და კონვენციური წარმოშობის დანაშაულია,¹⁰ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, სასამართლოს წარვუდგინოთ დამატებით ინფორმაცია აღნიშნული დანაშაულის მიზნის, განხორციელების გზებისა და ეტაპების შესახებ, რათა სასამართლომ სრულყოფილად შეძლოს მოცემულ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება.

⁷ სისხლის სამართლის N074020818802 საქმე, ტომი 33.

⁸ იხ. მაგ. ვ _____ ის დაკითხვა, სისხლის სამართლის N074020818802 საქმე, ტომი 10, გვ. 94-137, ე _____ დ დაკითხვა, ტომი 10, გვ. 214-230.

⁹ კერძოდ, სს „თიბისი ბანკს“ აკრძალა მამუკა ხაზარაძესთან და ბადრი ჯაფარიძესთან ან/და მათთან დაკავშირებულ სუბიექტებთან ახალი გარიგებების დადება რისკების პოზიციების შექმნის თვალსაზრისით, ბანკს მოეთხოვა საერთო კრების მოწვევა და მამუკა ხაზარაძის გათავისუფლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობიდან, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს შეუჩერდათ ხელმოწერის უფლებამოსილება. იხ. ეროვნული ბანკის N781-1კ, N782-1კ, 83-1კ, N84-1კ და N85-1კ განკარგულებები.

¹⁰ Zoppei, V. (2017). Anti-money Laundering Law: Socio-legal Perspectives on the Effectiveness of German Practices (International Criminal Justice Series, 12). The Hague: T.M.C. Asser Press : Imprint: T.M.C. Asser Press, 35.

სამართლებრივი დასაბუთება

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, იგივე „ფულის გათეთრება“ დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონებისთვის ლეგიტიმური სახის მიცემას გულისხმობს.¹¹ აშშ-სა და ბევრი სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობაში¹² ეს დანაშაული გულისხმობს ფულის დანაშაულებრივი წარმოშობის, წყაროს, ადგილმდებარეობის ან საკუთრების შენიღბვას ან შეცვლას.¹³

ფულის გათეთრება ისეთი ფინანსური და კომერციული საშუალებების გამოყენებას მოიცავს, როგორცაა ციფრული ვალუტის გადარიცხვა, ნაღდი ფულის ანგარიშსწორებები, საკრედიტო ბარათით ტრანზაქციები და სხვა.¹⁴ დანაშაულის ტრანსნაციონალურმა ბუნებამ¹⁵ მასთან ბრძოლის საერთაშორისო ხასიათიც განაპირობა. 1988 წელს ვენის კონვენცია პირველი იყო, რომელმაც ხელშემკვრელი მხარეები დაავალდებულა, ებრძოლათ ნარკოტიკების შავი ბაზრიდან მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესთან.¹⁶

ვენის კონვენციის კვალდაკვალ, 1990 წლის 8 ნოემბერს ევროსაბჭომ მიიღო კონვენცია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ,¹⁷ რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2004 წელს განახორციელა.¹⁸ ამჟამად ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ აქტორს მთავრობათაშორისი სააგენტო, Financial Action Task Force (FATF) წარმოადგენს.¹⁹

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ტრანსნაციონალური და კონვენციური ბუნება²⁰ განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება დანაშაულის აგებულებისა და დანაშაულის ჩადენის ეტაპების განხილვისას:

ა) დანაშაულის შემადგენლობა და მიზანი

ფულის გათეთრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეები მისი მეშვეობით უკანონოდ მოპოვებულ ქონებას ფინანსურ სისტემებში ათავსებენ და კანონიერ ბიზნესში ათავსებენ.²¹ უკანონო შემოსავლის ეფექტიანი ლეგალიზაციის შედეგად, დანაშაულებრივი ფულის საწყისი წყაროს აღმოჩენა შეუძლებელი უნდა გახდეს.²²

¹¹ Qureshi W. A. (2018). An Overview of Money Laundering in Pakistan and Worldwide: Causes, Methods, and Socioeconomic Effects. *University of Bologna Law Review*, 2(2), 300-345, 302.

¹² Schneider, F., & Windischbauer, U. (2008). Money laundering: Some facts. *European Journal of Law and Economics*, 26(3), 387-404, 394.

¹³ Cassella, S. (2018). Toward a new model of money laundering. *Journal of Money Laundering Control*, 21(4), 494-497.

¹⁴ International Monetary Fund (2009), *Staff Country Reports*, 19.

¹⁵ Bjelopera, J., & Finklea, K. (2012). *Organized Crime: An Evolving Challenge for U.S. Law Enforcement*, 14.

¹⁶ Alldridge, P., & SpringerLink. (2016). *What Went Wrong With Money Laundering Law?* (1st ed. 2016. ed.). London: Palgrave Macmillan UK : Imprint: Palgrave Pivot, 9.

¹⁷ Zoppei, 45.

¹⁸ ლეკვიშვილი, მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. (2011) სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეოთხე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი, 426.

¹⁹ Alldridge, 11.

²⁰ Khaled A. A. Alasmari. (2012). Cleaning up Dirty Money: The Illegal Narcotics Trade and Money Laundering. *Economics & Sociology*, 5(2a), 139-148, 144.

²¹ Couvrat, J-F., & Pless, N. (1993). *Das verborgene Gesicht der Weltwirtschaft*, Munster, 171.

²² Khaled A. A. Alasmari, 140.

ამასთან, ფულის გათეთრება აუცილებლად გულისხმობს წინასწარი, პრედიკატული მძიმე ორგანიზებული დანაშაულის არსებობას,²³ რომლის შედეგადაც მოიპოვება არალეგალური ფული/ქონება და რომელსაც გათეთრება ესაჭიროება.²⁴ შესაბამისად, პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, დამნაშავემ იცოდეს, რომ ტრანზაქციის განხორციელებით იგი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის წარმომავლობას ფარავს და სურს ამის განხორციელება.²⁵

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატული დანაშაული რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს. უკანონო შემოსავლის საგანს მრავალჯერადი დანაშაულის შედეგად რეგულარულად მოპოვებული ქონება უნდა წარმოადგენდეს.²⁶ პრედიკატული დანაშაული ორგანიზებული ხასიათისაა და, როგორც წესი, ტრეფიკინგს, ნარკოდანაშაულს, რეკეტსა და სხვა მსგავს ორგანიზებულ დანაშაულს მოიცავს.²⁷

დამატებით, ფულის გათეთრება, ნებისმიერი სხვა ეკონომიკური ან ფინანსური დანაშაულისგან იმით განსხვავდება, რომ მის სპეციალურ მიზანს წარმოადგენს არა მოგების მიღება, არამედ უკვე მიღებული შემოსავლისთვის სახის შეცვლა და ფულად-საკრედიტო სისტემებში განთავსება.²⁸ ამ დანაშაულისთვის პირის მსჯავრდებისას სპეციფიკური მიზნის შეცნობას სასამართლოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.²⁹

შესაბამისად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია წარმოადგენს არა მოგების მიზნით ჩადენილ, საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს (რაც მისი პრედიკატია), არამედ, რეგულარული დანაშაულებრივი სქემების შედეგად მოპოვებული უკანონო ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემას, რომლის მთავარ ობიექტსაც ფინანსური ბაზრებისა და სახელმწიფოს, ან საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემების მდგრადობა წარმოადგენს.³⁰

ბ) დანაშაულის სტადიები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კიდევ ერთ თავისებურებას, რაც მას სხვა დანაშაულებისგან განასხვავებს, მისი ჩადენის სამი სტადია წარმოადგენს.³¹ ფულის გათეთრების სქემები, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების პროგრესის გათვალისწინებით, განსაკუთრებით შემოქმედებითი და მოცულობითია,³² ხშირად გამოიყენება ისეთი ტექნიკები, როგორცაა smurfing

²³ Alldridge, 34.

²⁴ Unger, B., & Van der Linde, D. (2013). Research Handbook on Money Laundering. Edward Elgar Publishing.

²⁵ Casella, 494-497.

²⁶ Karsten, K., Berkeley, A., & ICC Institute of World Business Law. (2003). Arbitration: Money laundering, corruption and fraud (Publication (International Chamber of Commerce) ; no. 651). Paris: ICC Publishing, 15.

²⁷ მაგ. აშშ-სა და ბრიტანეთისგან განსხვავებით, სადაც პრედიკატული დანაშაულის ყველაზე გავრცელებულ სახეს ნარკოტრეფიკინგი წარმოადგენდა, ფულის გათეთრების კრიმინალიზება იტალიაში შეიარაღებული პარცისა და ყაჩაღობის ორგანიზებულ მაფიასთან ბრძოლის მიზნით მიიღეს. იხ: Zoppepi, 35.

²⁸ Karsten & Berkeley, 16.

²⁹ Chang, A., & Herscovitz, A. (1995). Money laundering. The American Criminal Law Review, 32(2), 136-139.

³⁰ Khaled A. A. Alasmari, 140, see also: Zoppepi, 135.

³¹ Bjelopera, & Finklea, 14.

³² Khaled A. A. Alasmari, 143.

და smuggling,³³ თუმცა ყველა სქემა, თავისი არსით, სამ ურთიერთდაკავშირებულ სტადიას იმეორებს:³⁴

- განთავსება (placement)

განთავსება პირველი ეტაპია, რომლითაც დანაშაულებრივი ქონების ლეგალურ ფინანსურ ინსტიტუციებში ინტეგრაცია ხდება.³⁵ იგი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის (როგორც წესი, ნაღდი ფულის)³⁶ ბანკის ანგარიშზე შეტანას გულისხმობს.³⁷ ამ პროცესში შეიძლება ლეგიტიმური ბიზნესიც (მაგ. რესტორნები, ან წვრილი მაღაზიები) იქნას გამოყენებული, რომელთაც ნაღდი ფულის დიდ ოდენობებთან აქვთ საქმე.³⁸ განთავსება შეიძლება მოიცავდეს პირველად და მეორეულ ქვესაფეხურებს, რა დროსაც უკანონოდ მოპოვებული და ბანკის ანგარიშზე განთავსებული თანხა სისტემატურად იშლება მცირე ოდენობებად და თავსდება სხვადასხვა ანგარიშებზე.³⁹

- ფენების გაჩენა (layering)

მას შემდეგ, რაც უკანონოდ მოპოვებული შემოსავალი საბანკო ანგარიშზე განთავსდება, მისი ნამდვილი წარმომავლობის დაფარვის მიზნით იწყება თანხით ფინანსური ტრანზაქციების განხორციელება.⁴⁰ ონლაინ გადარიცხვები კვალის არევის ყველაზე სწრაფ და მარტივ გზად ითვლება.⁴¹ ტრანზაქციები ინტენსივობითა და სისწრაფით გამოირჩევა, გადარიცხვა სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება.⁴² ამასთან, ტრანზაქციები ხორციელდება მცირე დეპოზიტების სახით, რათა ბევრმა გადარიცხვამ ბანკის, სახელმწიფოს ან საერთაშორისო მაკონტროლებლების ყურადღება არ მიიპყროს და ერთიან პროცესად არ წარმოჩინდეს.⁴³

- დაბრუნება (integration)

წვრილი გადარიცხვების შედეგად 'გაწმენდილი' ფული ისევ მის მეპატრონეს უნდა დაუბრუნდეს, რაც ფულის გათეთრების ბოლო სტადიაა.⁴⁴ თუ მეორე ეტაპმა წარმატებით ჩაიარა, მაშინ AML და რისკების შეფასების გუნდებისთვის ფულის ნამდვილი წარმოშობის დადგენა შეუძლებელი ხდება.⁴⁵ გაწმენდილი ფული მის უკანონოდ მომპოვებელს დეპოზიტის, კომპანიების აქციების, ან უძრავ

³³ Smurfing არის ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც ხდება ფულის მცირე ოდენობებად დანაწევრება, ხოლო smuggling-ის მეშვეობით ნაღდი ფული საზღვარზე დეკლარირების გარეშე, ადამიანების გამოყენებით გადაიტანება. იხ.: Reichel, P. S., & Albanese, J. (2013). Handbook of transnational crime and justice. SAGE Publications, 170.

³⁴ Ernesto U. Savona, European Money Trail. (1999). Crime, Law and Social Change, 31(2), 145-146. (Routledge 2014), 15.

³⁵ Buchanan, B. (2004). Money laundering—a global obstacle. Research in International Business and Finance, 18(1), 115-127, 117.

³⁶ Schneider & Windischbauer, 395.

³⁷ Gee, S. (2014). Fraud and fraud detection : A data analytics approach (Wiley corporate F&A series). Hoboken: Wiley, 254.

³⁸ Casella, 495.

³⁹ Schneider & Windischbauer, 396-397.

⁴⁰ Jonathan E. Turner, Money Laundering Prevention : Detering , Detecting and Resolving Financial Fraud (John Wiley & Sons, Inc. Hoboken, Ney Jersey 2011), 9.

⁴¹ Steinmetz, K. (2015). Online Gambling and Crime: Causes, Controls and Controversies. By James Banks (Ashgate Publishing Limited). British Journal Of Criminology, 55(4), 71.

⁴² Schneider & Windischbauer, 397.

⁴³ Basu, K.; Cordella, T. (2018). Institutions, Governance and the Control of Corruption (International Economic Association Series). Cham: Springer International Publishing. 86.

⁴⁴ Ryder, N. (2011). Financial crime in the 21st century: Law and policy, Edward Elgar Publishing Limited, 13.

⁴⁵ Qureshi, 309.

ქონებაზე საკუთრების უფლების სახით უბრუნდება.⁴⁶ კვლევების თანახმად, ფულის განთავსების ეტაპიდან მის დაბრუნებამდე პროცესი მთელი თანხის დაახლოებით 15% ჯდება.⁴⁷

გ) დანაშაული ქართულ კანონმდებლობაში

როგორც ვენის კონვენცია, ისე - შემდგომი სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას მაქსიმალურად ფართოდ განმარტავს, რაც იმ მიზნით არის განპირობებული, რომ ინსტრუმენტმა გააერთიანოს და მოიცვას ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს განსხვავებული კანონმდებლობა, იყოს მისი შესაბამისი და ხელი არ შეუშალოს საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.⁴⁸

თავდაპირველი საერთაშორისო ინსტრუმენტები ითვალისწინებდნენ პრედიკატული დანაშაულების ამომწურავ ჩამონათვალს, თუმცა ფულის გათეთრების მასშტაბისა და მეთოდების ზრდამ მსგავსი ჩამონათვალი როგორც საერთაშორისო, ისე - ეროვნულ კანონმდებლობებში უსარგებლო გახადა.⁴⁹ ფულის გათეთრების ფართო განმარტებას იცნობს როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ისე - კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ფულის გათეთრება შემდეგი ფორმითაა ჩამოყალიბებული:

*„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა“.*⁵⁰

ქმედების დისპოზიციის მსგავსი ფორმულირება თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ვენისა⁵¹ და სტრასბურგის კონვენციებით დადგენილ ფორმულირებას.⁵² ნორმის დაფარვის სფერო ვრცელია, თუმცა ეს გამომდინარეობს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებიდან და არ ნიშნავს იმას, რომ ფულის გათეთრების ბუნება, ან შინაარსი არის შეცვლილი. ფულის გათეთრება კვლავაც სპეციალური მიზნითა და სტადიებით ჩადენილი დანაშაულია, მისი ფართო განმარტება მხოლოდ პრედიკატულ დანაშაულთა სპექტრის დაფარვას ემსახურება.

ფულის გათეთრების ცნების მსგავსი ავტონომიური განმარტება აღიარებულია ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაშიც. იმის მიუხედავად, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმა

⁴⁶ Schneider & Windischbauer, 401.

⁴⁷ Basu & Cordella, 86.

⁴⁸ Zoppei, 38.

⁴⁹ Ibid, 45.

⁵⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი.

⁵¹ ვენის კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

⁵² სტრასბურგის კონვენცია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების, გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

არავითარ მითითებას არ აკეთებს კონვენციების მიმართ, ავტორთა კოლექტივი უთითებს დანაშაულის კონვენციურ ბუნებაზე, ახასიათებს მისი ჩადენის სამ სტადიას, უთითებს ორგანიზებული პრედიკატული დანაშაულის აუცილებლობაზე, ფულად-საკრედიტო სისტემაზე, როგორც დანაშაულის ობიექტსა და სხვა მრავალ ისეთ თვისებაზე, რომელიც ზემოთ განხილულ, ფულის გათეთრების მყარად ჩამოყალიბებულ განმარტებას შეესაბამება.⁵³

შესაბამისად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია უნდა განიმარტოს მისი ავტონომიური ბუნების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნორმა მისი უკიდურესად ფართო განმარტების შესაძლებლობას იძლევა, ფულის გათეთრებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც მოცემული დანაშაულის მყარად ჩამოყალიბებულ შემადგენლობას, სტადიებსა და სპეციალურ მიზანს აკმაყოფილებს.

ამრიგად, ფულის გათეთრებად არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივ ქონებასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ტრანზაქციები, როგორცაა მოპარული ნივთის გაყიდვა, დანაშაულებრივი თანხით სხვა ნივთის შეძენა და ა. შ. მსგავსი ქმედებების დასჯადობისთვის შესაბამისი მექანიზმები არსებობს, როგორცაა, მაგალითად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ან საპროცესო კონფისკაცია.

ფულის გათეთრებისა და საპროცესო/მატერიალური კონფისკაციების გამიჯვნის მიზნით, განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა:

დავუშვათ, პირი იპარავს კონკრეტულ ნივთს, ყიდის მას და ნივთის სანაცვლოდ მიღებული თანხით სხვა ნივთს ყიდულობს ჩვეულებრივ მაღაზიაში. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის პირდაპირი, მხოლოდ ტექნიკური წაკითხვით შემოვიფარგლებით, მაშინ შესაძლებელი გახდება, პირს პასუხისმგებლობა დაგაკისროთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის, რადგან პირმა ჩაიდინა ნორმაში სიტყვასიტყვით აღწერილი ქმედება - მიიღო უკანონო შემოსავალი (ქურდობის შედეგად), ისარგებლა მისით (გაყიდა), და დამალა მისი წარმომავლობა (მიღებული თანხით იყიდა სხვა ნივთი).

ასეთი დაშვებით, ნათელია, რომ შესაძლოა აბსურდამდე მივიდეთ, რადგან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაული უკანონო შემოსავლის მიღებას და მისით სარგებლობას გულისხმობს. თუ დავუშვებთ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არ ატარებს ზემოთ განხილულ, კონვენციურ შინაარსს, მაშინ გამოვა, რომ ქურდობის, მარცვის, მითვისების, თაღლითობისა და სხვა მსგავსი დანაშაულების ნებისმიერი ამსრულებელი ავტომატურად ფულის გათეთრებაშიც დამნაშავეა - ისინი დანაშაულს სწორედ იმისთვის სჩადიან, რომ მიღებული შემოსავალი გამოიყენონ.

შესაბამისად, ნათელია, რომ დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების განკარგვა არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას 194-ე მუხლის მიზნებისთვის. ზემოთ განხილულ შემთხვევაში, თუ პირს ნივთის ქურდობა დაუდგინდება, მას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ ქურდობისთვის, ხოლო მიღებული შემოსავალი უნდა ჩამოერთვას სასჯელის დანიშვნის ეტაპზე, როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება. მსგავს მიდგომას იზიარებს აშშ-ის უზენაესი სასამართლოც, რომელმაც აღნიშნა, რომ „ფულის

⁵³ ლეკვიშვილი, თოდუა, მამულაშვილი, 427-428.

გათეთრების დანაშაული კონგრესმა 'განსაკუთრებული უკანონო აქტივობის' ('specified unlawful activity') დამატებით დასასჯელად შემოიღო.⁵⁴

194-ე მუხლის სხვაგვარი განმარტება წარმოშობდა ვითარებას, როდესაც პირი ისჯება ცალკე მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის (საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული) და ცალკე - ამ დანაშაულის რეალური მიზნის განხორციელების გამო (უკანონო შემოსავლის მიღება/გამოყენება, რაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის მთავარი დანიშნულებაა). გარდა იმისა, რომ მსგავსი განმარტება 194-ე მუხლის რეალურ დანიშნულებას სრულად აცდებოდა, იგი პრობლემას შექმნიდა ne bis in idem კონსტიტუციური პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებითაც, რადგან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნებისმიერი ჩამდენი ავტომატურად ფულის გათეთრების ამსრულებელიც გახდებოდა.⁵⁵

შესაბამისად, 194-ე მუხლი არ უნდა იქნას წაკითხული სიტყვასიტყვით. ნორმის შემფარდებელმა მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ფულის გათეთრება ორგანიზებული დანაშაულის შედეგად მოპოვებული, რეგულარული შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შექმნილი დამოუკიდებელი მექანიზმია.⁵⁶ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს სპეციალური მიზნით დეტერმინირებული ქმედების განსაკუთრებული მეთოდის (სამსაფეხურიანი სქემა) მეშვეობით ჩადენას, რასაც წინ რეგულარული, ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედებით მიღებული შემოსავალი უძღვის.

წინამდებარე საქმის ანალიზი

წინამდებარე საქმეში პროკურატურა მიიჩნევს, რომ ბრალდებულებმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩაიდინეს. განხილული სამართლებრივი ჩარჩოდან გამომდინარე, ჩადენილი დანაშაული ფულის გათეთრების შინაარსისთვის აუცილებელ რამდენიმე წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

- პრედიკატული დანაშაულის არსებობა

პირველ რიგში, სანამ ფულის გათეთრება დაიწყებოდა, ჩადენილი უნდა ყოფილიყო პრედიკატული დანაშაული. პროკურატურის პოზიციით, პრედიკატული დანაშაული გამოიხატა მასში, რომ მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, წ. მეშვეობით, მოიპოვეს 16 664 000 დოლარის მეშვეობის სესხი, რითიც სს „თიბისი ბანკს“ მიაღება დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.

მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულად მიჩნეულია არა სესხის დაბრუნებაზე უარი, მისი მართლსაწინააღმდეგო განკარგვა, ან აღნიშნული თანხის რაიმე სხვა სახით მისაკუთრება, არამედ თავად სესხის ხელშეკრულების დადება. პროკურატურა უთითებს,

⁵⁴ იხ. მაგ.: United States v. Jackson, 983 F.2d 757, 768-69 (7th Cir. 1993), United States v. Edgmon, 952 F.2d 1206-1213. (10th Cir. 1991).

⁵⁵ ლეკვიშვილი, თოდუა, მამულაშვილი, 428.

⁵⁶ Alldridge, 34.

რომ პირები მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ აღნიშნულ თანხებს,⁵⁷ მაგრამ არ ასაბუთებს, თუ რატომ იყო სესხის აღება მართლსაწინააღმდეგო მოქმედება.

ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის ერთადერთი არგუმენტი საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებაა, რომლის თანახმად სესხის აღებით მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ სხვადასხვა ტიპის ფიდუციური ვალდებულებები დაარღვიეს. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ კორპორატიული მოვალეობების დარღვევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობას ავტომატურად არ იწვევს, ხოლო დისციპლინური სახდელეები აღნიშნული ქმედების გამო მათ უკვე დაეკისრათ.

დამატებით, პრედიკატული დანაშაულის მსგავსი ეპიზოდით შემოფარგვლა ოდნავადაც არ შეესაბამება ფულის გათეთრების კონვენციურ შინაარსს. აღწერილი ქმედება არ შეიცავს რაიმე ტიპის ორგანიზებული დანაშაულის ნიშნებს, ხოლო ფულადი სარგებელი, რომელზეც ბრალდება მიუთითებს, არ ყოფილა რეგულარულად მოპოვებული, არაერთჯერადად განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგი.

- ფულის გათეთრების სტადიები

ბრალდების შესახებ დადგენილებისა და საქმის მასალებიდან ასევე არ იკვეთება რაიმე შესაბამისობა ბრალდებულთა ქმედებებსა და ფულის გათეთრების საყოველთაოდ აღიარებულ სამსაფეხურიან მოდელს შორის. კერძოდ, ბრალდების პოზიციით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით განხორციელდა შემდეგი ფულადი ტრანზაქციები:

- წ. ს კომპანიების ანგარიშებზე არსებული თანხები დაკონვერტირდა ლარში და სრულად გადარიცხა ხაზარაძისა და ჯაფარიძის ანგარიშებზე;
- ხაზარაძემ და ჯაფარიძემ მათ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები დააკონვერტირეს დოლარში და სრულად გადარიცხეს ექვსი უცხოური პირის ანგარიშზე.⁵⁸

ფულის გათეთრების კონვენციურ მოდელთან მოცემული ქმედებების შეფარდება რთულად წარმოსადგენია. კერძოდ, ე. წ. განთავსების ეტაპზე, არ მომხდარა ბანკის გარეთ არსებული ფულის ბანკის ანგარიშზე შეტანა, არ განხორციელებულა პირველადი და მეორეული დეპოზიტირება, რადგან ხაზარაძისა და ჯაფარიძის ანგარიშებზე სადავო თანხა ერთიანად, ერთ დღეს, მაკონტროლებლებისთვის ადვილად დასანახი ფორმით გადარიცხა.

გარდა ამისა, შეუძლებელია საუბარი სადავო თანხის კომპლექსურ, ხშირ და მრავალრიცხოვან გადარიცხვებზე წვრილი ტრანზაქციების სახით, რაც ფულის გათეთრების მეორე ეტაპის - ფენების გაჩენის - კლასიკური ნიშანია. ბრალდებულებმა თანხები სულ 6 ფიზიკურ და იურიდიულ პირს გადაურიცხეს, რის შემდგომაც დამატებითი ტრანზაქცია აღარ განხორციელებულა. სადავო თანხა წვრილ ოდენობებზე არ დაშლილა და ფულად-საკრედიტო სისტემის მაკონტროლებელი პირების თვალთახედვის არიდან არ გამქრალა - უცხოურ ანგარიშზე გადარიცხული თანხის ყველაზე მცირე ოდენობა 609 142.3 ლარი იყო.

რაც ყველაზე თვალნათელია, ამ სქემიდან საერთოდ არ ჩანს ფულის გათეთრების მესამე ეტაპი - სადავო თანხის დაბრუნება. თუკი ბრალდებულები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას

⁵⁷ სისხლის სამართლის N074020818802 საქმე, ტომი 27, გ. 223.

⁵⁸ სისხლის სამართლის N074020818802 საქმე, ტომი 27, გ. 224-225.

ახორციელებდნენ, მაშინ მათ აღნიშნული თანხის დიდი ნაწილი, მრავალჯერადი, კომპლექსური ტრანზაქციების შედეგად, საკუთარ ანგარიშებზე უნდა დაბრუნდებოდათ, ან რაიმე ტიპის ქონებრივ სიკეთეში უნდა გადაეკონვერტირებინათ.

ბრალდების შესახებ დადგენილებასა და საქმის მასალებში პროკურატურა საერთოდ არ უთითებს, თუ როგორ დაბრუნდა 16 664 000 დოლარის თუნდაც მცირე ნაწილი ბრალდებულთა ანგარიშებზე. ეს ხარვეზი კი სავარაუდო ფულის გათეთრების მთელი სქემის რეალური არსებობის მიმართ უდიდეს კითხვის ნიშნებს შეიძლება აჩენდეს.

საგულისხმოა ისიც, რომ ბრალდების მხარის პოზიციით, ფულის გათეთრების სქემა ბრალდებულებმა სრულად განახორციელეს, ანუ შეძლეს დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად მიღებული თანხის განთავსება, დაშლა და შემდეგ საკუთარ ანგარიშებზე დაბრუნება. ნიშანდობლივია, ისიც, რომ სქემა, რომელსაც პროკურატურა ფულის გათეთრებად მიიჩნევს, განხორციელებულია 2008 წელს, შესაბამისად, ბრალდებულებს 11 წელი ჰქონდათ იმისთვის, რომ აღნიშნული სქემა ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანათ, თუკი მათ მიზანს მართლაც ფულის გათეთრება წარმოადგენდა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, ბრალდებულთა ქმედებების სამსაფეხურიან სქემასთან სრული შეუსაბამობა დამატებით მნიშვნელობას იძენს. როგორც განვიხილეთ, ბრალდებულთა ქმედებები საერთოდ არ შეესაბამება ფულის გათეთრების მეორე სტადიას (განხორციელდა მხოლოდ ერთი გადარიცხვა 6 პირის მიმართ), ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი - ფულის საკუთარ ანგარიშზე დაბრუნების სტადია - საერთოდ არ განხორციელებულა.

- დანაშაულის ჩადენის მიზანი

ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღწერილი ქმედება, გარდა ქმედების შემადგენლობისა და დანაშაულის ჩადენის სტადიებისა, ფულის გათეთრების კონვენციურ ბუნებას არც სპეციალური მიზნის თვალსაზრისით შეესაბამება. პროკურატურა ვერ ასაბუთებს, თუ როგორ დაიბრუნეს, მათი მტკიცებით, უკანონოდ მოპოვებული ფული ბრალდებულებმა. ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება მიღებული თანხის დაწვრილმანება, მრავალჯერადი ტრანზაქციები და ფულის გათეთრებისთვის დამახასიათებელი სხვა ქმედებები.

საგულისხმოა ისიც, რომ დაცვის მხარე უთითებს, რომ ხაზარაძემ და ჯაფარიძემ წაიღეს ა მიერ გადმორიცხული თანხები გამოიყენეს მათ მიერ წინა წელს აღებული სასესხო ვალდებულებების დასაფარად. ამ ასპექტში დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები - ექვს უცხო ფიზიკურ და იურიდიულ პირთან დადებული, ნოტარიულად დამოწმებული, 2007 წლით დათარიღებული ხელშეკრულებები, ნამდვილობის მხრივ არავითარ ეჭვს არ აჩენს. აღნიშნული ხელშეკრულებები, შესაბამისი პირების გამოკითხვის ოქმებთან ერთად, სასამართლომ მტკიცებულებადაც დაუშვა. პროკურატურის პოზიციით, ხელშეკრულებები ფიქტიური შინაარსის იყო, მაგრამ აღნიშნულის დასადასტურებლად რაიმე საწინააღმდეგო მტკიცებულება არ დევს საქმეში.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, უკანონოდ მოპოვებული ქონების მეშვეობით სხვა ტრანზაქციის განხორციელება, ნივთის ყიდვა, ან სასესხო ვალდებულების გასტუმრება, არ შეიძლება შეფასდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, რაც თვისობრივად განსხვავებული

დანაშაული შეიძლება იყოს. პროკურატურის მიერ აღწერილი ქმედებები მიმართულია იმისკენ, რომ ხაზარაძისა და ჯაფარიძის მიერ უკანონო მოგების მიღება წარმოაჩინოს (სესხის მიღება, რომლითაც ვალების გასტუმრება მოხდა და რომელიც ბანკს უკან არ დაბრუნებია), მაშინ, როდესაც ფულის გათეთრების სპეციალური მიზანი გულისხმობს ფულად-საკრედიტო სისტემაში თანხის ისე განთავსებას, რომ მისი ნამდვილი წარმომავლობა დაიფაროს. როგორც აღინიშნა, ფულის გათეთრების დროს არათუ მოგების მიღება არ ხდება, არამედ, სქემის განხორციელებაში მთელი თანხის მოცულობის დაახლოებით 15% იხარჯება კიდევ.

შესაბამისად, ბრალდებულთა ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით დაკვალიფიცირებას ისიც გამოირიცხავს, რომ პრედიკატული დანაშაულისა და სპეციალური სქემის არარსებობის გარდა, ბრალდების დადგენილებიდან და საქმის მასალებიდან ვერ გამოიკვეთა სპეციალური მიზნის არსებობა, რომელიც არა მოგების მიღებას (კერძო პირებისთვის ვალის გადახდა), არამედ თანხის წარმომავლობის დაფარვასა და შემდგომ მის სხვა ანგარიშზე დაბრუნებას უზრუნველყოფდა.

დასკვნა

ზემოაღნიშნული არგუმენტაციით ნათლად ჩანს რომ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ წარდგენილი ბრალდების დასაბუთება არ შეესაბამება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულის კონვენციურ შინაარსს, აგებულებასა და სპეციალურ მიზანს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასამართლომ საქმის განხილვისას და გადაწყვეტისას იმსჯელოს იმაზე, თუ რამდენად იკვეთება წარდგენილი ბრალდებიდან რეგულარული, ორგანიზებული დანაშაულის ფარგლებში ჩადენილი პრედიკატული დანაშაულის არსებობა, რომლის ფარგლებში მოპოვებული „შავი ფულის“ გათეთრებაც მოხდებოდა. სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ რამდენად ჯდება განთავსების, ფენების გაჩენისა და დაბრუნების სამსაფეხურიან სქემაში, რომელიც ფულის გათეთრებას ახასიათებს, ბრალდებულების მიერ განხორციელებული 6 გადარიცხვა. საგულისხმოა ისიც, რომ ბრალდებულთათვის დამახასიათებელ სპეციალურ მიზნად, საქმის მასალებით წარმოჩენილია მოგების მიღება, როდესაც ფულის გათეთრების დანაშაული სხვა სპეციალურ მიზანს ითვალისწინებს და მოგების მიღებას საერთოდ არ გულისხმობს.

შესაბამისად, სასამართლომ საქმის განხილვის ფარგლებში უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და წარმოადგინოს დასაბუთებული პოზიცია განსახილველ საკითხებზე, ვინაიდან მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებული გარემოებების გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, რის გამოც მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

5- 

